საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბახუტაშვილი ვლადიმერ ივანეს ძე

ბახუტაშვილი ვლადიმერ ივანეს ძე (23. III. 1931, თბილისი, –15. VI. 2005, იქვე), ვირუსოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1983). მედ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1969). საქართვ. სამედიცინო და სამედ.-ბიოლ. მეცნ. აკადემიების წევრი (1994).

1955 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1963-იდან დაიწყო სამეცნ.-პედ. მუშაობა ამავე ინ-ტში და საქართვ. მეცნ. აკადემიაში. 1980 – 91 იყო აკად. ა. ნათიშვილის სახ. ექსპერ. მორფოლოგიის ინ-ტის დირექტორის მოადგილე, 1991-იდან – მის მიერვე ორგანიზებული სამედ. ბიოტექნოლოგიის ინ-ტის დირექტორი.

ბ. იკვლევდა ვირუსული ინფექციების პათოგენეზისა და იმუნიტეტის საკითხებს. დაადგინა შიგელების უჯრედშიდა პარაზიტიზმი და ვირუსული ინფექციების მნიშვნელობა დიზენტერიის პათოგენეზში. გამოიკვლია ინფექციური პროცესის მოდელი უჯრედულ და ორგანოს კულტურებში (1985). ბ-ის ხელმძღვანელობით შექმნილია ახ. სამედ. პრეპარატი „პლაფერონი“, რ-საც იყენებენ ვირუსული ინფექციების სამკურნალოდ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ტოქსოპლაზმოზი, თბ., 1962; ექსპერიმენტული გრიპოზული ინფექციის მკურნალობა იმუნოდეპრესიის პირობებში, თბ., 1986; Иммунодепрессия и вирусные инфекции, Тб., 1981 (თანაავტ.: Б. Н. Корсантия, М. Г. Тохадзе); Перинатальные вирусные инфекции и интерферон, Тб., 1983 (თანაავტ. Б. Н. Корсантия).